# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი№

ქ. ზუგდიდი „1" „მაისი" 2018 წელი

ერთმანეთთან გრძელვადიანი და პარტნიორული ურთიერთობების განვითარებისა და განათლებისა და მეცნიერების სფეროში ურთიერთთანამშრომლობის სურვილიდან გამომდინარე, სსიპ შოთამესხიასზუგდიდისსახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში „სასწავლო უნივერსიტეტი"), რომელსაც წინამდებარე მემორანდუმის მიზნებისთვის წარმოადგენს რექტორი, პროფესორი **თეონა ხუფენია** და სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი"(შემდგომშისაზოგადოებრივი კოლეჯი „ფაზისი"), რომელსაც წარმოადგენს დირექტორი**ნინო ბაკურაძე**,ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ.

**მუხლი. 1**

**მემორანდუმის საგანი და მიზანი**

**1.1.** მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა მიერ ერთი და იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (საგნობრივი), ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცესის ხელშეწყობა;

**1.2.** მხარეები გამოთქვამენ მზადყოფნას, ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყონ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში პროფესიულ სტუდენტთა მობილობის პროცესის ორგანიზება.

**1.3.** პროფესიული სტუდენტის მობილობასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება მემორანდუმის თითოეული მხარის საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შემუშავებული წესის/წესების შესაბამისად.

**მუხლი.3**

**მემორანდუმის მოქმედების ვადა**

**3.1.** მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით. მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს წერილობითი შეტყობინების საფუძველზე ნებისმიერი მხარის მიერ.

სხვა პირობები

4.1 მემორანდუმი შედგენილია ორი თანაბარი ძალის მქონე ეგზემპლარად.

4.2. ნებისმიერი ის საკითხი, რომელიც არ არის რეგულირებული წინამდებარე მემორანდუმით, შესაძლებელია გადაწყდეს მხარეთა მოლაპარაკების გზით.

4.3. მემორანდუმში შესატანი ცვლილებები შეიძლება წარმოდგენილ იქნეს ნებისმიერი მხარის მიერ და დაემატოს შეთანხმებას.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
რექტორი

თეონა ხუფენია

მისამართი.: ზუგდიდი, ჯანაშიას ქ. [illegible]

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი
„ფაზისი"
დირექტორი

ნინო ბაკურაძე

მისამართი: ფოთი, კონსტიტუციის ქ. 54